# ჩანგი

№ 30 შაბათი, 8 აგვისტო 1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 3 მან. 50 კ., ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ წერილებზე გონორარი-შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილი უნდა პასუხისათვის საჭირო საფოსტო მარკების წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოცვლისათვის საჭიროა ... აბაზი. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапань", Калистрату Константиновичу Цуладзе.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



6 აგვისტოს მეტეხის ციხეში მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი

## სევერიანე მოსეს ძე ჯუღელი,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს მეუღლე განსვენებულისა ალექსანდრა სიმონის ასული და შვილები: მარგარიტა, ნორა, სონა და ვალენტინა.

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 9 აგვისტოს, დილის 9 საათზე გამოასვენებენ ბინიდან (მე-2 თუმანოვის ქ. № 16) ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. აქედან წირვა-პანაშვიდის შემდეგ წაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

6 აგვისტოს მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეტეხის ციხეში მე-2 სახ. დუმის ყოფილი დეპუტატი

## სევერიანე მოსეს ძე ჯუღელი

რასაც ღრმათ შეწუხებული ყოფილი თანამშრომელნი გაზ. „ჩვენი აზრი"-სა აუწყებენ ნაცნობ-ამხანაგებს. მიცვალებულს გამოასვენებენ 9 აგვისტოს დილის 9 საათზე თუმანოვის ქუჩიდან № 16, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და აქედან წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე.

6 აგვისტოს მეტეხის ციხეში მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მე-2 სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი

## სევერიანე მოსეს ძე ჯუღელი,

რასაც ღრმა მწუხარებით აცხადებენ განსვენებულის ამხანაგები. დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 9 აგვისტოს. გამოსვენება ბინიდან (მე 2 თუმანოვის ქუჩა № 16) დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. წირვა-პანაშვიდის შემდეგ—გასვენება კუკიის სასაფლაოზე.

გაიხსნა ახალი
თფილისის
### კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. გოგოლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 895).

ექ. ი. გ. ფიდლოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. გ. ღამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ზ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათყ.

ექ. ზ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. გ. ს. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—31

კბილის ექიმი
### ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

### აბასთუმანში

კბილის ექიმი
სამსონ ვაშაკმაძე
იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ... ერ-მარკაროვისა № 42.

ფერშალი
ლ. ბარკალაია

უცრის ყვავილს, იღებს ყელჭირვებით, ხუნაგით და ვენერიული სენით ავათმყოფებს 3 საათიდან 6 საათამდე. გოგოლის ქუჩა № 68.

### ქუთაისში

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 მარიამობისთვიდან ამ 1909 წ. 3—3


**თფილისი, 8 აგვისტო**

სახ. დუმის ხელმძღვანელი პარტია როგორც ვიცით, ოქტომბრისტებია, გუჩკოვის მეთაურობით წასვლა სხვის დამლევს ამა თუ იმ მიზეზების გამო ამ პარტიამაც აუცილებლათ დაინახა—ოპოზიციონური სული გამოეჩინა, და რამდენიმე ლიბერალური კანონ-პროექტი მიიღო. მართალია ეს იყო კითხვები, რომელშიაც რუსეთის ბურჟუაზიული დიდი ნაწილი (სტაროობრიადცები) იყვენ დაინტერესებული და რომელთა გავლენა ოქტომბრისტების ფრაქციის წევრებზე დიდია. ამ პროექტების მიღებით ბევრს იმედი აღეძრა: ისინი კვლავაც მარცხნივ გადადგმულ ბიჯს არ უღალატებენ და შეიძლება პროგრესიულ ძალის დამხმარე შეიქნენო! მარა.. მარა ახლა „გოლოს მოსკვი"—ეს მემარცხენე ოქტომბრისტების გაზეთი—ასეთ იმედებს ერთი ხელის დაკვრით აქარწყლებს. მთელი რუსეთის ერობებში და ქალაქის თვითმართველობებში წელს თითქმის ყველგან პროგრესიულმა ელემენტებმა გაიმარჯვეს. „გოლოს მოსკვის" ეს არ მოსწონს, მან იცის, რომ პროგრესისტი—ეს ოქტომბრისტი არაა—და თავის კორესპონდენტებს ბრძანებას უგზავნის, ჩვენ ყოველთვის ის მოგვწერეთ, ოქტომბრისტებმა და ზომიერმემარჯვენეებმა თუ სადმე გაიმარჯვონ, რადგან სასიხარულო და სასარგებლო მოვლენა სწორეთ ეს იქნება ქვეყნისთვის და არა პროგრესისტების გამარჯვებაო. ამნაირათ, ოქტომბრისტები თვით ეთიშებიან და გაურბიან პროგრესისტებს. მარა ამით გამოაშკარავდა მეორე უფრო საყურადღებო ფაქტიც. ესაა ის, რომ თუ ოქტომბრისტები პროგრესს გაურბიან, სამაგიეროთ რუსეთი გაურბის ოქტომბრისტებს. ამას წინეთ „რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტები ყველა ქალაქებში ეძებდენ და ვერსად ვერ იპოვნეს იმ ხელმძღვანელ პარტიის წარმომადგენლები, ან თუ იპოვეს მხოლოდ თითო-ოროლა პირი, რომელნიც დაახლოვებით ოქტომბრისტები იყვენ. ახლა თვით ოქტომბრისტულ გაზეთის კორესპონდენტებსაც ვერ მოუპოვებიათ ამ პარტიის წევრები და იძულებული არიან რედაქციის რჩევა-ბრძანების მაგიერ ზომიერი პროგრესისტები გამოიგონონ ან სხვა რაიმე ეპიტეტებით შეამკონ ეს ერობებში არჩეული პირები, რომ მცირეთი მაინც დაუახლოვონ ისინი ამ რუსეთის წარმომადგენლობითი დაწესებულების მმართველ პარტიას.

მარა ასეთი ჰაპან-წყვეტა და ტერმინების წამება კორესპონდენტების მიერ კიდევ უფრო საგულისხმიერო იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა რომელიმე ფართე მასის წარმომადგენლობას, არამედ რუსეთის ერობის და ქალაქების თვითმართველობათა არჩევნებს, სადაც ხმა მხოლოდ ბურჟუაზიის მაღალ წრეებს და მემამულეებს აქვთ, ხალხი კი გარეშე მაყურებელია. ცხადია თვით ის მსხვილი ბურჟუაზია და მემამულეები, რომელთა შემაერთებელ პარტიათ ისინი ითვლებიან, ვერ კმაყოფილდებიან მათი დაცვით და მოღვაწეობით. ამნაირათ, ეს პარტია მთავრობის უკანასკნელ დადგენილებებისა, ქრება საზოგადოებაში, მას აკლდება საზოგადოების სიმპატია, თანაგრძნობა, იგი ისრისება სწორედ იმ ორმაგი, ორჭოფი და კურდღლური პოლიტიკით, რომელსაც ის აწარმოებს სახელმწიფო დუმაში. მათ ორი წლის „მოღვაწეობით" გაუქრეს თავის მომხრეთ ყოველივე იმედი და ასე, თავიდან ჩამოიშორეს. მისი ამრჩეველი მემამულეები, რომელნიც უმთავრესათ კაპიტალისტურ მემამულეებს წარმოადგენდენ, დღეს უფრო მეტ უფლებრივ წყობილებას საჭიროებას გრძნობენ. ძველი ფეოდალური ქურქიდან გაუნთავისუფლებელნი კი ერთიანათ „ჭეშმარიტთა" კავშირში მიდიან და ასე, აქაც ძველი და ახალი ერთმანეთს უპირისპირდებიან [illegible] ახალი ერთი-მეორის პირის პირ ირაზმება. მათი შერიგების და შეთანხმების ნაყოფი—ოქტომბრისტები კი ჰაერში გამოკიდული რჩებიან. აი, ამას მოწმობენ დღევანდელი საერობო არჩევნები; ამას თავის-დაუნებურათ აღიარებს თვით ოქტომბრისტთა გაზეთიც.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 აგვისტო.

**ოსმალეთი**

**სტამბოლი**. ს. პ. დეპეშათა სააგენტოს მიერ გადმოცემულ ცნობამ იმაზე, რომ სრუტეების შესახებ მოლაპარაკება სიმართლეს მოკლებულიაო, ოსმალეთში სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა და გაზეთები ამ შემთხვევას რუსეთისათვის მეგობრულ განწყობილების განმამტკიცებელ კომენტარიებს უკეთებენ.

გენერალისიმუსი მახმუდ-შევკეთ ფაშა გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა მიიწვია გერმანიის საშემოდგომო მანევრებზე.

**კანეა**. მფარველ სახელმწიფოთა კონსულებმა წერილობით მოითხოვეს კრიტოსის მთავრობისაგან საბერძნეთის დროშის ჩამოხსნა, რომელიც ამართულია კანეის ნავთსადგურის შესავალს და გააფრთხილა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ეს შესრულებული იქნება სამხედრო გემების მიერ, რომელიც უკვე შემოვიდა კანეაში. ყოველგვარი წინააღმდეგობა, ან მტრული განწყობილება კრიტელების მხრით, გამოიწვევს სამწუხარო შედეგებს. კონსულების მიმართვა წაკითხულ იქნა დეპუტატთა პალატაში და გამოაქვეყნეს მთელ კუნძულზე. დილის ხუთ საათზე მფარველ სახელმწიფოთა გემებიდან ნაპირზე გადმოვიდა მატროსების როტა, რომელიც გაემართა ციხეზე, ჩამოხსნა დროშა და გააძევა მედროშენი, ხოლო ბასტიონში, სადაც წინეთ დროშა იმყოფებოდა, დასტოვა საერთაშორისო ყარაული 50 კაცისაგან შემდგარი. მატროსები დაბრუნდენ გემზე. კრიტოსის ჟანდარმერია წესიერებას იცავს.

**პარიზი**. გავასის სააგენტოს კანეიდან ატყობინებენ, მფარველ სახელმწიფოთა კონსულებმა შეატყობინეს კრიტოსის მთავრობას, რომ საბერძნეთის დროშა ხვალ ჩამოღებული უნდა იქნესო. მათ ყურადღება მიაქციეს იმ გაუსწორებელ შედეგებზე, რომელსაც გამოიწვევდა საერთაშორისო ჯარზე დაცემა. დროებით მთავრობამ მოწოდება გამოსცა, რომლითაც წინადადება ეძლევა ხალხს, სრულიად დაემორჩილონ მფარველ სახელმწიფოთა ნებას.

**სტამბოლი**. საბერძნეთის პასუხს ხვალ ელიან. ცნობამ, კანეაში სამხედრო გემიდან მფარველ სახელმწიფოების თავისუფალ რაზმის გადასვლის და საბერძნეთის დროშის ჩამოხსნის შესახებ, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მთავრობის წრეებში.

**ათინა**. 5 აგვისტოს მინისტრ-პრეზიდენტმა რალლიმ ოსმალეთის ელჩს ჩააბარა პასუხი საბერძნეთის მთავრობისაგან პორტას უკანასკნელ ნოტაზე. მფარველ სახელმწიფოების წარმომადგენლებს პასუხი ეუწყა გარეშე მინისტრის საშუალებით.

**სპარსეთი.**

**თეირანი**. მოსალოდნელია, ტახტის მემკვიდრეთ დაინიშნოს შახის ათის წლის ძმა მახმედ ხასან-მირზა.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ, რომ შახის წასვლა ხელ-ახლა გადადებულია იმ უხერხულობათა გამო, რომელსაც იწვევს შახის ვალები და რომლის გამო ადერბეიჯანში მდებარე ყოფილიშახის მამულები მის ჯერ კიდევ მემკვიდრეთ ყოფნის დროს [illegible]ში. ნაციონალისტებმა, იმის შიშით, რომ აღნიშნულ მამულებზე კანტროლის საშუალება არ დაეკარგათ, შახს პენსიის გადიდება შეპირდენ, მხოლოდ იმ პირობით, თუ ის კანტროლს ამ მამულებზე გადასცემს სპარსეთის მთავრობას, რომელიც იკისრებს მის ლიკვიდაციას. შახმა მოფიქრებისთვის დრო ითხოვა. ამბობენ, ის არ დათანხმდება ამ წინადადებასო.

ამრჩეველთა არჩევნები თეირანში უკვე დასრულდა. შეადგინეს დირექტორია 20 კაცისაგან. მათ რიცხვშია სეპეხდარი და სერდარ-ასადი. დირექტორიას აქვს განსაკუთრებული უფლებები, სხვათა შორის შეუძლიან კანტროლი მინისტრების მოქმედებაზე.

**ლონდონი**. „ტაიმს" თეირანიდან ატყობინებენ, რომ შახთან პენსიაზე შეთანხმების პირობებში ნაციონალისტებს სურთ ჩაურთონ მუხლი, რომლის ძალით პენსიის შეწყვეტა შესაძლებელი იქნება, თუ დამტკიცდება, რომ შახი როდისმე კვლავ მიმართავს ინტრიგებს სპარსეთის წინააღმდეგ. რუსეთის და ინგლისის მისიებმა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ ყოფილ შახსა და მთავრობის შორის მოლაპარაკებაში, ტელეგრაფით მოითხოვეს ინსტრუქცია.

**თეირანი**. მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ განთავისუფლებულ იქნას პრინცი ზილლი სალთანე და მიეცეს ნება დასტოვოს სპარსეთი.

**რუსეთი**

**პეტერბურგი**. გაძლიერებულ დაცვის წესები ერთი წლით გრძელდება: ქალაქ სტავროპოლში, ტობოლის გუბ. ეიზდრინსკის მაზრაში და ტობოლის გუბერნიაში; ამასთან აღნიშნულ ადგილებში და აგრეთვე ციმბირის რკინის გზებზე რჩება სამხედრო წესები.

**ტულა**. ტულის მაზრის სოფ. ხლინოვში სოფლის ყრილობამ ერთხმათ მიიღო მიწის მომწყობ კომისიის პროექტი სანადელო და ნაყიდ მიწების გაზომვის შესახებ. ეს მეოთხე სასოფლო საზოგადოებაა, რომელიც მიმდინარე წელიწადში გადადის პირადულ მფლობელობაში.

**განჯა**. შუშის ქალაქის თავის მკვლელთა ერთი ნაწილი დააპატიმრეს. აღმოჩნდა, რომ მკვლელობა მოწყობილია „დაშნაკციუტუნის" პარტიის მიერ.

**პეტერბურგი**. მინისტრთა საბჭომ მოიწონა და საჭიროთ სცნო წარდგენილ იქნას განსახილველათ შემდეგი კანონ-პროექტები: ქალაქებისთვის „პასობიის" მიცემის შესახებ ადგილობრივ პოლიციის შესანახათ და შექმნა რუსეთის გენერალურ საკონსულოსი მაროკოს მისიაში. იმავე სხდომაზე მიღებულ იქნა წარსადგენათ უმაღლესათ დამტკიცებისთვის შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება ფარმაცევტთა დამხმარებელ-საპენსიო კასის საერთო კრების მოწვევის შესახებ მოსკოვში. მინისტრთა საბჭოში წინააღმდეგობა არ გამოუწვევია აგრეთვე წინადადებას იმის შესახებ, რომ ფინლიანდიაში კვლავ გაგრძელებულ იქნეს უფლებათა დროებითი განსაზღვრა თოფების და სხვა იარაღების შეტანის საქმეში.

**ვილნო**. „საძმო" სიეზდზე აუცილებელ საჭიროთ სცნეს შემდეგი: ლათინურ-პოლონურ პროპაგანდის წინააღმდეგ გაძლიერებულ იქნას „საძმოთა" მოქმედება, მისიონერულ ქადაგებით და სხვ. მოწყობილ იქნას საგამომცემლო კომიტეტები, გავრცელებულ იქნას ფურცლები, რომლებიც პასუხს გასცემენ ყოველივე დღიურ კითხვას, გამოცხადებულ იქნას 300 მ. კონკურსი სამხრეთის პოპულიარულ ისტორიის შედგენაზე, აღიძრას შუამდგომლობა, რომ ერობების შემოღების დროს ყურადღება მიექცეს რუსის ხალხის ინტერესებს და სხვ. სიეზდზე დაარსებულ იქნა საურთიერთო დამხმარებელი ფონდი.

**[illegible]**. დაიწვა სახაზინო ღვინის საწყობის სამი კორპუსი, რომელშიაც სპირტი და არაყი იყო, სრულიათ განადგურდა. ზარალი 600,000 მანეთს უდრის.

**პეტერბურგი**. მოიხსნა სამხედრო წესები ტურუხანის მხარეში, ენისეის გუბერნიაში და გაძლიერებული დაცვის წესები—კოვნოს გუბერნიაში.

**პეტერბურგი**. საზოგადოებათა შესახებ დროებით წესების მე 3 მუხლის ძალით დაიხურა ლიტერატორთა და მსწავლულთა საურთიერთო დამხმარებელი კასა.

**ადესა**. ადგილობრივ გაზეთთა გამომცემლების, რედაქციების და ასოთ-ამწყობთა თათბირმა საკვირაო დასვენების შესახებ დაადგინა, მოიწვიოს კონფერენცია სამხრეთ-რუსეთის გაზეთების წარმომადგენლებისა, პირველ ოქტომბრისათვის, მანამდე კი არ გამოუშვან გაზეთები ორშაბათობით.

კონფერენციის მოსაწვევათ აირჩიეს ბიურო.

**კიევი**. კრემენჩუგში ხოლერის გაჩენის გამო, ქალაქის გამგეობამ დაადგინა—შემოიღოს ნავთ-სადგურში მუდმივი საექიმო მორიგეობა კრემენჩუგიდან მომავალ მგზავრების გასასინჯათ, საერთოთ გააძლიეროს სანიტარული ყურადღება და ააშენოს რამდენიმე სახლი ხოლერიანთათვის.

**ხოლერა.**

**პეტერბურგი**. ავად გახდა 36, მოკვდა 20, ავად არის 346.

**არხანგელსკი**. ავად გახდა ოთხი, მოკვდა 1.

**ტვერი**. ავად გახდა 1.

**რიგა**. ავად გახდა 8, მოკვდა 2.

**საზღვარ-გარეთ**

**სტოკჰოლმი**. გაფიცვა უცვლელათ მიმდინარეობს. ტურისტების რიცხვმა შესამჩნევათ იმატა. სასტუმროებში ადგილი აღარაა.

**ბარცელონა**. ოთხ აგვისტოს მოიხსნა საალყო წესები.

**სტოკჰოლმი**. ხოლერით ავად გახდა სტოკჰოლმელი ვაჭარი, რომელიც მოვიდა პეტერბურგიდან. ის იმყოფებოდა მოშორებულ ადგილას, ეხლა ნელ-ნელა რჩება.

## სევერიანე მოსეს-ძე ჯუღელი

(1874—1909 წ.)

გუშინ სიცოცხლით და ჯან-ღონით სავსე სევერიანე, დღეს აღარ არის. ის უძრავათ დევს. აღარ ფეთქს მომავლის იმედებით აძგერებული მისი გული, აღარ ისმის მისი მგზნებარე სიტყვები, მის ჩაფითრებულ ბაგეზე ულმობელ სიკვდილს თავისი ბეჭედი დაუსვამს და სამუდამოთ შეუკრავს. ის მოკვდა... მოკვდა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა...

სევერიანე დაიბადა 1874 წელს სოფელ ჩხარში; პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო ჩხარის სასოფლო სკოლაში, რომლის გათავების შემდეგ ის შევიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. აქ ის თავის ნიჭით დიდათ განირჩევა სხვა მოწაფეებისაგან და 1891 წელს პირველ მოსწავლეთ დაასრულა სასწავლებელი და შევიდა თფილისის სასულიერო სემინარიაში. მიუხედავათ სემინარიაში არსებულ რეჟიმისა, აქ უკვე იწყებს მუშაობას მისი გონება და ფრთას შლის ლიტერატურული ნიჭი. ამ დროს სემინარიაში მოსწავლეები სცემდენ არალეგალურ ჟურნალს ქართულ ენაზე; სევერიანე მისი ერთი მთავარი თანამშრომელთაგანი იყო. 1893 წელს არეულობის დროს სევერიანე, სხვებთან ერთათ დაითხოვეს სემინარიიდან, როგორც არეულობაში აქტიური მონაწილე. ამ დროიდან ის სავსებით ჩაება საზოგადო საქმეში. 1896 წელს, როცა ჯერ კიდევ მესამე დასელები და მათი მოძრაობა ახალი ხილი იყო, სევერიანე, თავის ერთათ ერთ განუყრელ მეგობარ ლადო კეცხოველთან ერთათ მთელი თავის ძალ-ღონით შეუდგა მუშაობას. მუშაობდა ის ყველა სფეროში, როგორც ენერგიული და დაუღალავი მუშაკი. თავის ტკბილი სიტყვით ამცნობდა ხალხს მის გაჭირვებულ მდგომარეობას და იმავ დროს მუშაობდა ჟურნალ-გაზეთებში, ჯერ „ივერია“-ში და შემდეგ „ცნ. ფურცელ“-ში, შემდეგ „კვალ“-ში გადავიდა. ამ ხანებში მან გამოსცა რამდენიმე წიგნი, სხვათა შორის ლეტურნოს სოციოლოგია, გადმოკეთებული ამ სათაურით: „ველურობა და განათლება“. [illegible] ლის შესახებ; თარგმნა: „ბუნების სიოცარი მოვლენანი“ რუბაკინისა და სხ. 1902 წელს ის დააპატიმრეს და ექვსი თვის ციხეში ყოფნის შემდეგ სოფელში გაგზავნეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. 1903 წ. ისევ დააპატიმრეს და სამი წლით ვადასახლება მიუსაჯეს. 1905 წ. მას, სხვებთან ერთათ, მანიფესტის ძალით დაბრუნების ნება მიეცა. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც ოდნავათ არ შემდრკალა მისი გული, ის ჩვეულებრივ ენერგიით, კალმით თუ სიტყვით ეწეოდა საზოგადო საქმეს, როგორც იმედებით აღვსილი. უკანასკნელ დროს კი უმთავრესათ გაზეთებში მუშაობას მოკიდა ხელი. ის ერთი მუდმივ თანამშრომელთაგანი იყო აწ უკვე დახურულ გაზეთების: „სხივი“, „ლამპარი“, „ელვა“, „განთიადი“-ს და სხვათა. სწერდა „ნემეზიდაშვილი“-ს და „ვალენტინი“-ს ფსევდონიმით. დაბრუნების შემდეგაც ის რამდენჯერმე დააპატიმრეს. ბოლოს 1907 წელს ის აირჩიეს მე-2 დუმის დეპუტატათ თფილისის გუბერნიიდან. დუმის დათხოვის შემდეგ ის დაუსხლტა ხელიდან პეტერბურგის პოლიციას და ფარულათ სცხოვრობდა. ამ წლის მაისში უეცრათ დააპატიმრეს, ახლა უკვე დახურულ გაზეთ „ჩვენი აზრი“-ს რედაქციაში. როგორც გამოირკვა ის თურმე სხვისი პასპორტით სცხოვრობდა. პოლიციას ეჭვი შეეპარა მის ვინაობაში და ბოლოს ის იძულებული შეიქნა გამოტეხილიყო, რომ ჯუღელი იყო. ის მოათავსეს მეტეხის ციხეში და ამ დღეებში პეტერბურგში უნდა გაეგზავნათ, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა უფრო ადვილათ გადასჭრა მისი ბედი. მუდამ არა ნორმალურმა ცხოვრებამ და ათასგვარმა შევიწროებამ ამ ბოლო დროს ძლიერ დაასუსტა მისი აგებულება, ის ხშირათ ავათმყოფობდა, თუმცა მწოლარე და უსაქმოთ არავის უნახავს. ამ სამი დღის წინათ ის უეცრათ ავათ გახდა გაციებით, და უპატრონოთ მიგდებულს მესამე დღეს 6 აგვისტოს მოულოდნელათ ამოხდა ტანჯული სული. გაქრა იმედები. გაქრა სევერიანე... მაგრამ მისი ხსოვნა წაუშლელი იქნება მეგობრებისა და მადლიერ მუშების გულში.

განსვენებულს დარჩა მეუღლე და ოთხი მცირე-წლოვანი ქალიშვილები.

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი.

**კრიტოსის საკითხი თანდათან გამწვავდა.** კრიტოსის საკითხი თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. ახალმა მთავრობამ უარი სთქვა— ჩამოხსნას საბერძნეთის დროშა და ერთგულება შეფიცა საბერძნეთის მეფეს. ექვს აგვისტოს სახელმწიფოებმა უკანასკნელი წინადადება მისცეს საბერძნეთის დროშის ჩამოხსნის შესახებ. და უკეთუ ამ მოთხოვნას არ შეასრულებენ, ევროპის გემები გადასხამენ დესანტს, რომელიც თვითონ ჩამოხსნის დროშას. თუ კრიტელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, სიმაგრეს ყუმბარებს დაუშენენ. დესანტი რამდენიმე დღეს დარჩება კუნძულზე.

**მოსალოდნელი კონფლიქტი.** ნამდვილ წყაროებიდან ირწმუნებიან, რომ ტახტის მემკვიდრე იუსუფ იზზედინი აშკარა უკმაყოფილებას აცხადებს ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის შესახებ, რადგან მან არა თუ ფაქტიურათ ჩაიგდო ხელში მთავრობა, არამედ ფორმალურათაც მინიმუმამდე მიიყვანეს სულთანის პრეროგატივა მაგალითად მოყავს ის, რომ კონსტიტუციის ახალ პროექტით პარლამენტის პრეზიდენტი სულთანის დამტკიცებას აღარ საჭიროებს.

**მდგომარეობა კრიტოსის კუნძულზე.** ათინიდან მოსულ ცნობებით კრიტოსზე მღელვარება თანდათან მატულობს. უმეტესათ ღელავს კანეია. კრიტოსის პარლამენტის წევრთა უმრავლესობას არ სურს დაემორჩილოს ოსმალეთის მოთხოვნას ჩამოხსნან საბერძნეთის დროშა.

რადგან კრიტოსის მთავრობა დარწმუნდა თავის უძლურებაში, გამკლავებოდა საზოგადო მიმდინარეობას, გადასწყვიტა სამსახურიდან გადადგომა. ამ მიზნით 2 აგვისტოს დაინიშნა პარლამენტის სხდომა.

ოთხ მფარველ სახელმწიფოთა ელჩების თათბირი გრძელდება. თუმცა საქმე გამწვავდა, მაგრამ მაინც იმედი აქვთ, რამეს გახდებიან.

სალონიკიდან იტყობინებიან, რომ იქ [illegible] გემები გადაუტვირთელი დგანან.

ბერძნების წინააღმდეგ მღელვარება თანდათან მატულობს.

ალბანელები იმუქრებიან, თერალიაში შევიჭრებითო.

### სპარსეთი.

**სპარსეთის ყოფილ შაჰის გამგზავრება.** როგორც გაზეთ „ბაკუ“-ს საკუთარი კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, თეირანიდან ყოფილ შაჰს ოთხშაბათს, 5 აგვისტოს გაგზავნიდენ. მოლაპარაკება იყო გამართული სპეციალურ კომისიასა და რუსეთის და ინგლისის მისიებს შორის, რომლებმაც მოითხოვეს 200 კაზაკი შაჰის ყაზვინამდე მისაცილებლათ, სადაც რუსეთის ჯარის ბანაკია.

**ყოფილ შაჰის ვალები.** სპარსეთის ყოფილ შაჰს მილიონ ნახევარი თუმანი ვალი დარჩენია. მისსიები წინადადებას აძლევენ სპარსეთის მთავრობას—მიიღონ ამ ვალში შაჰის მამული, რომელსაც სამასი ათასი მანეთი შემოაქვს წელიწადში.

**ახალი მთავრობა** სპარსეთის ახალი მთავრობა გაცხარებულ მუშაობაშია. ირჩევენ საჩქარო სამუშაოს კომისიის წევრებს. კომისია ონდეენგი, ამუშავებს პროექტს—უზრუნველ ყონ დახოცილ რევოლიუციონერთა ოჯახები. განზრახულია ერთ საუკეთესო მოედანზე ძეგლი აუგონ მათ.

**ჯარის გაგზავნა პროვინციებში.** შეადგინეს კაზაკთა, ბახტიარების და მუჯაჰიდებისგან რაზმები, ოთხას კაცისაგან, და ზენჯანში გაგზავნეს. თავრიზში და შირაზში გაგზავნეს ათას კაცისაგან შემდგარი რაზმები წესიერების დასაცველათ.

**ახალი შაჰის გაქცევის განზრახვა.** ლონდონში დეპეშით ატყობინებენ თეირანიდან, რომ ახალ შაჰს ხელმეორეთ განუზრახავს გაქცევა რუსეთის მისიაში, რომ მამასთან ერთათ რუსეთში წასულიყო. მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. ის დაიჭირა მისმა მცველმა.

**რუსეთის ჯარის გაყვანა.** როგორც ხმები გავრცელდა, განზრახულია რუსეთის ჯარი 15 აგვისტოს გაიყვანონ სპარსეთიდან.

### რ უ ს ე თ ი.

**ჩხრეკა და დაპატიმრება პეტერბურგში.** 1 აგვისტოს პეტერბურგში „ნევის ზასტავი“-ს იქით გაჩხრიკეს რამდენიმე ბინა. ერთ ბინაზე დააპატიმრეს ერთი მუშა.

ჩხრეკდენ უმეტესათ კავკასიელების ბინას. არავითარი საწინააღმდეგო არ აღმოუჩენიათ.

**ბოროტმოქმედება რკინის გზებზე.** რაც დღე გადის, თანდათან ათასგვარი ბოროტმოქმედება ჩნდება რუსეთის რკინის გზებზე. საქონლების პარვა, ყალბ დოკუმენტების შედგენა და სხვა ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. სასამართლოს მთავრობას აღმოუჩენია, რომ ამ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობა მიუღიათ ჟანდარმებს და აგენტებს. „ნოვ, რუს.“ სიტყვით იუსტიციის მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა, დაინიშნოს სპეციალური კომისია სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზების რევიზიისთვის.

**ლიტერატორთა ურთიერთ დამხმარე კასის დახურვა.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ დახურა ლიტერატორთა და მეცნიერთა ურთიერთ დამხმარე კასა. ამ დღეებში უნდა მოხდეს საზოგადო კრება. კასის დახურვის მიზეზი იყო ის, რომ „ოხრ. ოტდ.“ გაჩხრეკის დროს წაიღო ქაღალდები, რომლებიდანაც სჩანდა, რომ კასა დახმარებას უწევდა პოლიტიკურ საქმეებს.

### საზღარ-გარეთ.

**საყოველთაო გაფიცვა შვეციაში.** „ბერლინელ ტაგებლატ“-ის და „ფრანკ. საიტ“-ის კორესპონდენციები კატეგორიულათ უარყოფენ ცნობებს, თითქო გაფიცვა შეწყვეტილიყოს შვეციაში ამ ცნობებს ავრცელებენ ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებიც დაპატარავებულ ფორმატით გამოდიან. მუშები წინანდებურათ სოლიდარულათ მოქმედებენ. საფრთხილოა, რომ ბრძოლით გატაცებული მუშები საშიშ ნაბიჯს გადადგამენ და ისეთ დარგში შესწყვეტენ მუშაობას, სადაც ეს სასურველი არ არის. ხელმძღვანელმა კომიტეტმა ამის შესახებ გამოსცა მოწოდება, რომლითაც დაბეჯითებით სთხოვს წყლის-საყვან მუშებს გახავრძონ თავიანთ [illegible] „მხოლოდ უგუნურთ შეუძლიათ ურჩიონ გაფიცვა, რადგან არ გაეგებათ, რომ წყლის შეჩერება დაღუპავს უკადის მთელ ქალაქს“—ამბობს კომიტეტი. ხელმძღვანელები ხშირათ ამშვიდებენ ტრამვაის, ავტომობილების და გემების მოძრაობის გამო აღელვებულ მუშებს. რკინის გზის მოსამსახურეებმა მოახდინეს მთელ მხარეში რეფერენდუმი, რომლის შედეგზეა დამოკიდებული შეუერთდებიან გაფიცვას თუ არა. მალმედან იტყობინებიან, რომ გაფიცულებმა იქ გახსნეს საკუთარი ფურნე, ყოველ დღე 6000 პურს აცხობენ. მუშები იქ მუქთათ მუშაობენ. ადგილობრივი მუშათა წინამძღოლი ამბობს, რომ თუნდაც შიმშილობა მოუხდეთ მუშები რამდენიმე კვირას გამაგრდებიანო. მალმეში ტრამვაი და ეტლების მოძრაობა არის, მხოლოდ ნავთსადგურში ყველაფერი გაჩერებულია. ბევრი გემი ცარიელი წავიდა ნავთსადგურის მუშები სხვადან უსაქმოთ და თევზებს იჭერენ, ხოლო კანტორშჩიკები ხაზეინებსა და პატრონებთან ერთათ აკეთებენ უსაჭიროეს საქმეს. ქალაქში სრული წესიერება. საღამოობით სახალხო ბაღში მუსიკა უკრავს და ხალხი ცეკვავს, თითქო აქ არაფერიაო. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლიბერალ ვიკსელის სიტყვამ, რომელიც მუშათა მიტინგზე წარმოსთქვა მუშებში. პროფესორმა აღნიშნა ამ ბრძოლის უდიდესი მნიშვნელობა, მან მოუწოდა მუშებს არ მიმართონ ძალმომრეობას და განაგრძონ ამ სამაგალითო ტაქტიკით ბრძოლა.

---

### რევოლიუციის დღეები ბარცელონაში

ამ უკანასკნელ ხანებში ისპანიაში იფეთქა რევოლიუციამ. ის საშინელის სისწრაფით მოედო მთელ მხარეს. ამის მიზეზი იყო მაროკოელების წინააღმდეგ გალაშქრება. ხალხი წინააღუდგა ამ ომს. არავითარ საშვალების წინ არ დაიხია ხალხმა, რომ ხელი შეეშალა მთავრობისთვის—გადეგზავნა ჯარი. ანგრევდენ რკინის გზებს, სწვავდენ ეკლესიებს და სახელმწიფო დაწესებულებებს, გამოცხადდა გაფიცვა, გაიმართა ბარიკადები და გაჩაღდა ნამდვილი ბრძოლა. აი როგორ აგვიწერს რევოლიუციის დღეებს გაზეთ „რუს. სლ.“-ის კორესპონდენტი:

„არეულობა, როგორც საზოგადოთ ზღვის ნაპირის ქალაქებში ხდება, ნავთსადგურში დაიწყო. ბარცელონას ნავთსადგურიდან გადაყავთ მაროკოში მთელ ჩრდილოეთ ისპანიაში შეკრებილი ჯარი. მათ შორის მრავალი სათადარიგო ჯარისკაცია. კალმით აუწერელია—რა გულისმომწყვლელი ამბები ხდება ჯარის გაგზავნის დროს. თქვენს თვალებს შემდეგი სურათი წარმოუდგებოდა: აგერ, სდგას ხნიერი ვაჟკაცი, გარს ცოლი და შვილები შემოხვევია და მდუღარე ცრემლით სტირიან, რომ ხელიდან აცლიან ერთათ ერთ ნუგეშს; აგერ მაღლობ ადგილზე შესდგება ორატორი და აღშფოთებული, ხელების შლით და აღგზნებული თვალებით სიტყვას ამბობს. ის კიცხავს მთავრობას, რომ ასე უმიზეზოთ ომი გამოიწვია, ომი, რომელიც მთელი თავის სიმძიმით მხოლოდ ღარიბებს აწევს კისერზე. მხოლოდ ისინი ღვრიან უმანკო სისხლს. ხალხი ღელავს, დრტვინავს, ხშირათ ხელიდან გლეჯენ ჯარის კაცს და გაყავთ.

ეს მიტინგი უნდა მომხდარიყო 23 ივლისს, მაგრამ პრეფექტმა დაწყებისთანავე დახურა. ამ გარემოებამ ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა და „ორშაბათს საყოველთაო გაფიცვა“-ო დასძახეს და დაიშალენ.

ორშაბათამდე სამი დღე დარჩენილი ყო. და ამ სამი დღის განმავლობაში ისეთი სიწყნარე იყო ბარცელონაში, რომ პრეფექტმა დეპეშაც კი გაგზავნა მადრიდში, ბარცელონაში სრული სიმშვიდეა და ყოველივე უწესოება მოისპოო. ნამდვილათ კი ბარცელონაში სულ სხვა ამბები ხდებოდა ამ დროს, კატალონიის მუშათა კავშირმა გამართა საიდუმლო თათბირი. თათბირს პარტიის ყველა ცნობილი მოღვაწენი დაესწრენ, კატალონიის ბურჟუაზიულ ბლოკის წარმომადგენელნიც კი. უკანასკნელნი აფრთხილებდენ კრებას, არ ემოქმედათ სასტიკათ და წინადადებას აძლევდენ—მოეხდინათ კვირას მთავრობის საწინააღმდეგო მანიფესტაცია, სოციალისტები და რესპუბლიკანელები საყოველთაო გაფიცვის მომხრენი იყვნენ და კიდევაც გაიყვანეს თავისი.

კატალონიის პროლეტარიატი იმდენათ შეკავშირებულია, რომ კომიტეტმა სულ ადვილათ მოახერხა საყოველთაო გაფიცვის სისრულეში მოყვანა. კომიტეტის დელეგატებმა ორშაბათ დილით დაუარეს ყველა ქარხანა-ფაბრიკებს და სარკმლიდან გადასძახეს მუშებს თავიანთი გადაწყვეტილება. ფიცხლავ ყველა მანქანების მოძრაობა შეჩერდა. მუშები ქუჩებში გამოვიდენ. ამავე დროს ქალთა ჯგუფმა, რომელსაც აქ „წითელ მოლოზნებს“ ეძახიან, დაუარა წვრილ ხელოსნებს და არწმუნებდა მათ, მუშაობაზე ხელი აეღოთ. დილის ცხრა საათზე მთელ ბარცელონაში ყველაფერი გაჩერდა. დღის 12 საათზე, როცა მთავრობას დეპეშით აცნობეს გაფიცვის ამბავი, არც ერთი მანქანა, არც ერთი ჩარხი აღარ ტრიალებდა მთელ ბარცელონაში.

მხოლოდ საავათმყოფოებში ჩვეულებრივათ მიდიოდა ცხოვრება. ექიმები დადიოდენ ქალაქში განსაკუთრებულ ბილეთებით.

საღამოზე პროვინციებიდან ცნობები მოვიდა ჯარისა და ხალხის შეტაკების შესახებ. გაფიცულებმა რკინის გზის ლიანდაგი გააფუჭეს, რომ ხელი შეეშალათ ჯარის გადაყვანაზე. ქალაქის პრეფექტი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა და სამსახურიდან გადადგა. მთავრობამ გენერალ სანტ-იაგის ჩააბარა ძალა-უფლება და ბარცელონაში საალყო წესები გამოაცხადა.

გენერალ სანტ-იაგომ უპირველეს ყოვლისა გამოსცა მანიფესტი მცხოვრებთადმი, სადაც გადაჭრით აცხადებდა, რომ ჯარს ნება აქვს ესროლოს ყველას, ვინც კი წესიერებას დაარღვევსო. ამის საპასუხოთ მეორე დღესვე ხალხმა ბარიკადები აღმართა ქუჩებში.

არავის არ სჯეროდა ამ წუთს გენერალ სანტ-იაგის მუქარა და გაფიცულები არხეინათ გრძნობდენ თავს. წესიერების აღსადგენათ გამოგზავნილი სალდათები უარს ამბობდენ, ესროლათ ხალხისთვის, ან ჰაერში ისროდენ, რასაც ხალხი საერთო სიცილით და ტაშის ცემით ეგებებოდა. ადგილ-ადგილ თითქმის სალდათებსა და პოლიციელებ შორის შეტაკებაც კი ხდებოდა. სალდათები ართმევდენ თოფებს და რევოლვერებს გარადოვოებს და გაფიცულებს აძლევდენ. გენერალ სანტ-იაგის განკარგულებაში იყო ამ დროს რვაასი სალდათი და ათას ორასი პოლიციელი. სალდათების უმრავლესობა ბარცელონაში დიდი ხნის მცხოვრები იყო, თითქმის ყველას ყავდა იქ ნაცნობ საყვარლები. გარდა ამისა მათაც უსამართლოთ მიაჩნდათ ისპანიის კანონი სამხედრო ბეგრის შესახებ.

27 ივლის, დღისით, მოხდა ქალაქის ხმოსნების სხდომა. ზოგიერთი ხმოსნები იმ აზრის იყვენ, რომ იქვე გამოეცხადებიათ კატალონიის ისპანიიდან გამოცალკევება. კატალონიის ბლოკის წევრები აფრთხილებდენ კრებას, არ გადაედგა ასეთი ნაბიჯი, რადგან ომისთვის მომზადებული არ იყვენ და არ შეეძლოთ გამკლავებოდენ ისპანიას. ხმები სწორეთ შუაზე გაიყო და კრებაც დაიხურა. ასე, რომ კითხვა გადაუჭრელი დარჩა.

ამ დროს ბარცელონის მცხოვრებნი გაფაციცებით ეძებდენ ხელმძღვანელებს, რომ ეჩვენებიათ გზა საით წასულიყვენ და რა გაეკეთებიათ. ყველა დაიმედებული იყო, რომ ამ როლს მუშათა კავშირის კომიტეტი იკისრებდა. ყოველ მხრიდან ურჩევდენ კომიტეტს, თავი დროებითი მთავრობათ გამოეცხადებია, და შეედგინათ რევოლიუციონური არმია. ყველა მზათ იყო—შესულიყო ამ არმიაში, თითქმის კატალონიის ბლოკის მომხრე ახალგაზრდა მდიდრებიც კი, ამასთანავე აცნობეს კომიტეტს, რომის გარნიზონი, რომელიც არსენალს და იარაღის საწყობებს იცავს, მოჩვენებითად წინააღმდეგობას გაგვიწევსო. ისეთი მომენტი დადგა, რომ უკეთუ ამ დროს კომიტეტში ენერგიული და სულით ძლიერი კაცი გამოჩენილიყო, შეეძლო დიდი მოძრაობა გამოეწვია.

მაგრამ ასეთი კაცი არ გამოჩნდა. კომიტეტი კამათს და ჩხუბს მოუნდა, არც ერთ წევრს არ უნდოდა ეკისრა ხელმძღვანელობა. ამ დროს ბარცელონაში დაიწყო რაღაც სტიქიური, რაღაც უმზგავსი მოძრაობა.

საიდგანღაც გამოჩნდენ ახალი, შეუკავშირებელი, გაუწვრთნელი ძალები. ამ მოძრაობის დასაწყისი სადაც საეჭვოა. გაფიცვის გამოცხადებისათანავე ქალაქში სხვადასხვა მხრიდან აუარებელი ხალხი შემოვიდა, რომლებსაც არც ბარცელონაში და არც მის მიდამოებში იცნობდენ. ისინი უმეტესათ კატალონელები არ იყვენ. მათ გააჩაღეს აგიტაცია და მოუწოდეს ხალხს—გაეცარცვათ მდიდრების სახლები, დაეწვათ მონასტრები და ეკკლესიები. ბარცელონელთა უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ ეს ბრბო მთავრობის მიერ მოსყიდული იყო, რომ დაეფრთხო კატალონიის ბურჟუაზია და იძულებული იყო ზურგი შეექცია პროლეტარიატისთვის. ეჭვს გარეშეა მაურის მთავრობის მუდმივი პოლიტიკა იყო, თუ მფარველობა არა, გულგრილათ მაინც ეყურებია ანარქისტებისთვის.

მაგალითათ, ყველამ კარგათ იცის, რომ ბარცელონაში სცხოვრობენ ცნობილი ანარქისტები და მათ შორის ფერრერი, რომელმაც მეფე ალფონსს ყუმბარა ესროლა, მაგრამ პოლიცია ხელს არ კიდებს.

ამ ხალხს ძალიან საეჭვოთ ეჭირა თავი. ისინი აგიტაციას ეწეოდენ ბავშვებში. ურიგებდენ 8—10 წლის ბავშვებს სპიჩკებს, ფიჩხს და ნავთს და აქეზებდენ დაეწვათ მდიდრების სახლები და მონასტრები. ბავშვებთან ერთათ ამ მოძრაობამ ქალებაც ჩაითრია და ჩქარა მთლათ მოედვა მცხოვრებთა დაბალ ნაწილს.

კატალონცები მრავალ მიზეზების გამო უკმაყოფილო არიან კათოლიკეთა სამღვდელოების. საქმე იმაშია, რომ ისპანიაში მრევლი ვალდებულია შეინახონ მღვდელი და ეკლესიის ყველა მსახურნი. გარდა ამისა ეფისკოპოზებს უფლება აქვთ ერთ ეკლესიასთან რამდენიც უნდათ იმდენი სამრევლო დააარსონ. ამგვარათ ცოტა სულს მოითქვამს თუ არა სოფელი, ეფისკოპოზი ხელათ გზავნის იქ ახალ მღვდელს, რომელიც სოფელმა უნდა ამოირჩიოს. ასეთი ბეგარა სახელმწიფოს გადასახადებზე მეტათ მძიმეა. რაც შეეხება მონასტრებს, უმთავრესათ მათ წინააღმდეგ ქალები არიან ამხედრებულნი. ყველა მონასტრებთან არის სკოლები, სადაც მიყავთ ობლები და ღარიბების შვილები. აქ მათ ძალიან სასტიკათ ეპყრობიან, ცუდათ აჭმევენ და მოე-

ლი დღეები ამუშავებენ. ასეთი სკოლები ახლა აკრძალულია საფრანგეთში, ისპანიაში კი პირველი ალაგი უჭირავს. ეს კატორღული შრომა დიდ კონკურენციას უწევს მკერავ ქალებს, მით უმეტეს, რომ მონაზნები ძალიან ავრცელებენ თავიანთ საქონელს მართლმორწმუნეებში.

გაჩნდა თუ არა ცეცხლი, ხალხი რაღაც სიგიჟემ შეიპყრო. მამაკაცები, დედაკაცები და ბავშვები გარს შემოერტყმოდენ მონასტერს, უბრძანებდენ ბერებს გასულიყვნენ, შემოუწყობდენ შენობას ჩალის და ცეცხლს უკიდებდენ.

ქალების მონასტერში აღმოაჩინეს ერთი უცნაური ოთახი, იქ კედელზე მიკიდული იყო ბორკილები. ამან ხალხი გააბრაზა. ყველამ გადასწყვიტა, რომ ეს წამების ოთახი იყო. ეზოში იპოვნეს მონაზნის გვამი ხელებ შეკრული, გარდა ამისა იქვე ეწყო ბავშვების და მამაკაცების გვამები. ამან გააბრაზა ხალხი, ასტყდა ქვითინი. ყველამ ფიცი დასდო სამაგიერო გადაეხადათ. მონაზნების გვამები გაიტანეს ქალაქში და აჩვენეს ხალხს. მთელ ბერცელონას ელდის სისწრაფით მოედო ეს ამბავი. ხალხი ისე აღელდა ამ ამბის გამო, რომ ჯილუმენია იძულებული შეიქნა აეხსნა მათთვის ეს ამბავი. მან განაცხადა, რომ მონაზნებს ხელხებ შეკრულებს მარხვენ, რადგან უნდათ მეტი დამშვიდებული სახე მისცენ მიცვალებულს. წამების ოთახის შესახებ სთქვა, რომ იქ ბორკილებით გაგიჟებული მონაზონი იყო დაბმული.

ცეცხლმა მრავალი ძვირფასი სურათები და ნივთები შთანთქა. დაიწვა კატალონიის ერთი უძველესი ეკლესია—სან-პედრო-დელოს-პუელიასი.

ბრბოს უნდოდა დაეწვა იეზუიტთა კოლეგია, მაგრამ იეზუიტები წინდაწინვე მოემზადენ, გააკეთეს ბარიკადები და ბრბოს ტყვიები მიაგებეს. ამ გვარათ გადაარჩინეს თავიანთი მონასტერი დაწვას.

უმაღლესმა კლასებმა მიმართეს ერთათ ერთ მთავრობას, რომელსაც სცნობდენ მცხოვრებნი, მუშათა კავშირის კომიტეტს და სთხოვეს დაეყენებიათ მცველები მონასტერთან და გაეფანტათ ცეცხლის წამკიდებელნი. კომიტეტმა ვერაფერი გადასწყვიტა, რადგან იქაც აღმოჩნდენ დაწვის მომხრე ანარქისტები. კომიტეტი მთელ დროს კამათს ანდომებდა და ამ დროს მოძრაობამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მარტო ბარცელონაში დასწვეს 48 ეკლესია და მონასტერი.

კომიტეტი დაიშალა, რადგან ძალა აღარ ქონდა—შეემგრებია ეს მოძრაობა. ბურჟუაზიამ ყოველივე კავშირი გასწყვიტა პროლეტარიატთან, რადგან ყველა ამ უწესოების მიზეზათ ის ჩასთვალა. ამ დროს გენერალ სანტ-იაგომ შემოიყვანა ქალაქში რამდენიმე ათასი საიმედო სალდათი. რევოლიუციონურ მოძრაობის ჩაქრობა ადვილი საქმე შეიქნა, რადგან ის ისედაც ჩაიშალა. რამდენიმე ზარბაზნის გასროლამ უკუ აქცია ბარიკადებზე მყოფნი. ისინი, რომლებიც, ჯერ კიდევ განაგრძობდენ სროლას, დაიჭირეს და ციხეში გაგზავნეს.

რევოლიუცია გათავდა, მაგრამ ისპანიის ხალხმა ერთი რამ შეიძინა: მან თვალები გაუხილა ისპანიის მთავრობას და იძულებული ჰყო—ჩამოერთვა მდიდრებისათვის უფლება, ფულით ეხადა სამხედრო ბეგარა, და აღარ გაეწვიათ ომში სათადარიგო ჯარის კაცები.

### მცირე შენიშვნა

მუდამ ერთი და იმავე ბრალდების განმეორება ბოლოს და ბოლოს მოსაბეზრებელია; ბ. არ. ჯ—შვილი კი სწორეთ ასე იქცევა. ჩვენ ბურჟუაზიის დამცველი არა ვართ და ტყვილა გვაბრალებთ, ეს დაბეზღებაა მკითხველთანო და სხვ.—იმეორებს ის განუწყვეტლივ. ჩვენ კი მისი უკანასკნელი წერილიდანაც სწორეთ ის დასკვნა გამოვიყვანე, რომ ბ. არ. ჯ—შვილს ბურჟუაზიის დაცვა აქვს სახეში და ეროვნების საკითხი მხოლოდ ამის ფარია. აბა გასინჯეთ, ის აღიარებს, რომ რაკი საქართველოს სიღარიბის მიზეზი საკუთარი კაპიტალიზმის უქონლობაა, „თავის თავათ ცხადია, ამ სიღარიბის გამომწვევ მიზეზის მოსპობა სასურველი უნდა იყოს“. მართალია, თქვენ უკან იხევთ და გვარწმუნებთ, „თუ როგორ უნდა განვითარდეს ეს კაპიტალიზმი“, თქვენ იმასაც გვპირდებით— „არც ალგვიძრავს და არც ალვძრავთ არასოდესო“, მარა ამ შემთხვევაში თქვენ სიტყვებს ვერ დავიჯერებთ. ერთი იმიტომ, რომ თუ სასურველია, ამ სასურველის მიღწევაზე უნდა იზრუნონ კიდეც. მეორეც, თქვენ ზევით ამბობთ: „თუ ერს რომელიმე ორგანო დაზიანებული აქვს, აუცილებლათ საჭიროა მისი განკურნება“, დაზიანებულათ კი, როგორც ვიცით, ქართული კაპიტალიზმი და ამით მისი მატარებელი ბურჟუაზია გყავთ აღიარებული. მაშასადამე... უნდა ამ დაზიანებულს ვუშველოთ, რადგან თქვენი სიტყვით, საზოგადოების ყველა ნაწილს განვითარება ესაჭიროება, წინააღმდეგ შემთხვევაში სრული ეროვნული ცხოვრება არ შეგვეძლება და „მაშინ ერიც აღარ ვყოფილვართო“. აქედანაც ის დასკვნა გამოდის, რომ თუ საკუთარი ქართული ბურჟუაზია არ გვეყოლა, ჩვენ ერი არ ვიქნებითო, და ეროვნებისთვის ხომ მზათ ხართ ყოველი საშუალება მიიღოთ და თუ ქართული კაპიტალიზმის უქონლობა ერს სპობს, სადღა იქნება ან მისი კულტურა, ენა და ან ლიტერატურა? ცხადია, მართალი გვითქვამს, როცა ვამბობთ: ბ. არ. ჯ—შვილს ამ ქართულ კაპიტალზე (და არა საზოგადოთ კაპიტალზე) აქვს დამყარებული მთელი თავისი იმედები, მისგან ელის ერის კულტურის, ენის, ლიტერატურის აყვავებას, ერთი სიტყვით, ეროვნულ სიმდიდრის შექმნას-მეთქი. თქვენ კი გაიძახით: „სიცრუეა! ვერც ერთ წერილს ვერ დამისახელებთ ჩემი წერილიდან, საიდანაც ეს სჩანდესო“. ტყუილა ირჯებით ბ. არ. ჯ—შვილო! თქვენ ახლა ცდილობთ ორმაგ ფრაზებში დამალოთ ის, რაც ნამდვილათ გსურთ, მარა გავიწყდებათ, რომ ბ. B-ს იცავდით და ეს თქვენი კლიენტი კი თქვენსავით თავს არ მალავს; ის საქვეყნოთ გაიძახის: „თუ არ ვეცდებით უფრო დიდის სისწრაფით ქართული კაპიტალიზმის შექმნას—ჩვენი ეროვნება განსაცდელშია“. ან იქნებ ესეც სიცრუეა და არც თქვენ კლიენტს დაუწერია? აბა გადახედეთ მის პირველ ფელეტონს „დროების“ № 134-ში, უკანასკნელ სვეტზე: იქ ეს სიტყვები მსხვილი ასოებითაა დაწერილი. თქვენ კი გინდათ, დაგვაჯეროთ „ჩვენ არ ალგვიძრავს და არც ალვძრავთ არასოდეს იმის საკითხს, თუ საიდან უნდა განვითარდეს კაპიტალიზმიო“ ეს, ბატონებო, კუროპატკინისებური უკან დახევაა და ამით ვერავის დააჯერებთ. დიახ, თქვენ ქართველი ერის გასაღორძინებლათ ქართველი ბურჟუაზია გინდათ, ე. ი. კონსერვატიული ძალა და მთელი ერის ინტერესებს კი ეპატრონებით. და მე ეს ბეზღაობით არ დამიწერია, არამედ თანახმათ თქვენი და ბ. B-ს აზრისა,

თქვენი უკანასკნელი საბუთი—ერის ყველა კლასებს ვიცავთ და მაშასადამე, სახეში ერი გვყავს და არა კერძოთ რომელიმე კლასიო, ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს კ. თუმანიშვილის და მისი მეორშაბათე გაზეთის ლოზუნგია და ცხოვრებაში ნიშნავს სწორეთ ბურჟუაზიის დაცვას.

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ასეთი კლასიური ხასიათი აქვს ბ. B-ს ეროვნულ მისწრაფებებს. ვამტკიცებით, რომ ეროვნული იდეალიც კლასობრივ ნიადაგზე შენდება, და რომ მუშათა კლასის შეხედულება ამ მხრივ ერთად ერთი სწორი და პროგრესიული შეხედულებაა. სწორეთ ამიტომ, ის ამ ყველაზე უფრო პროგრესიულ კლასის კლასიურ მდგომარეობიდან გამომდინარეობს. თქვენ კი, ლიტონ სიტყვებს გვაწვდით: ყველა კლასებს ვიცავთ! ჩვენ კი ცოდვილი ხალხი ვართ, ლიტონ სიტყვებს ვერ დავიჯერებთ.

უკანასკნელი შენიშვნა კიდევ. თქვენ გაიძახით: მე არ მითქვამს, არ ვიცი, რა აზრის იყვენ ამ 15—20 წლის წინეთ ბურჟუაზიის შესახებო. „მე მხოლოთ იმას ვამბობდი“, ახლა დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ათი თუ ოცი წლის წინეთ რასა სწერდენ ქართველები კაპიტალიზმის წინააღმდეგო“. საქმე იმაშია, რომ ამ 10—20 წლის წინეთ დაიწყო მოქმედება იმ ჯგუფმა, რომელსაც „დროება“ ემხრობა და რომელსაც თქვენც ეკუთვნით. თქვენ კი დაბეჯითებით არ იცით, როგორი იყო თქვენი აზრი ამ რამდენიმე წლის წინეთ. დაბეჯითებით არ ცოდნისთვის მეორე მოსამზადებელ კლასშიც „დვოიკას“ უსმენ, ე. ი. მეც მხოლოდ „დვოიკაზე“ ცოდნა შეგწამეთ და თუ ეს ტყუილია, თქვენი პირით რალათ მემოწმებით, დაბეჯითებით არ ვიციო“. მართალია, გეწყინება თქვენი არ „ცოდნის“ გამოაშკარავება, მარა ეს ხომ ჩემი ბრალი არაა. „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

რაჟდენიძე.

## ახალი ამბები

**სევერიანე ჯუღელის გარდაცვალება.** 6 აგვისტოს მძიმე ავათმყოფობის შემდეგ მეტეხის ციხეში გარდაიცვალა მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილი წევრი სევერიანე მოსეს ძე ჯუღელი. მთავრობის ნებართვით მიცვალებულის ცხედარი გუშინ, 7 აგვისტოს, ციხიდან ბინაზე წაასვენეს (თუმანოვის ქუჩა, № 16). დაკრძალვა მოხდება ხვალ. დილის 9 საათზე ცხედარს ბინიდან წაასვენებენ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და წირვა-პანაშვიდის შემდეგ მიწას მიაბარებენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

**კავკასიის-სამხედრო საოლქო სასამართლომ** ვერის რაიონული ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. საქმეზე შემდეგი განაჩენი გამოიტანა: სასამართლომ უდანაშაულოთ იცნო და გაამართლა ილია ქვლივიძე. დანარჩენთ მიესაჯა: სპირიდონ ამაღლობელს (იგივე მელიტონ ფილია), პეტრე ჯიაძეს, ზაქარია ქვლივიძეს, ალექს. გელოვანს, გერასიმე შალამბერიძეს, მიხეილ კიკნაძეს, ოლღა ნათაძეს და ნატალია კიკნაძეს, თითეულს 4 წლით კატორღაში გაგზავნა. ევგენი არჩვაძეს—2 წლით და 8 თვით. ბრალდებული ნინა თოფურიძე 1000 მანეთის თავმდებს ქვეშ იქნა განთავისუფლებული. ის სასამართლოში არ გამოცხადებულა და არც იციან სად არის. მელიტონ ფილია, როგორც მოხსენებული გვქონდა, სასამართლოს დარბაზიდან გაიქცა და სადღაც მიიმალა. სასამართლომ დაადგინა ამასთანავე, იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, დასჯილთათვის სასჯელის შემსუბუქების შესახებ.

**თათბირი ერობის შესახებ.** 5 აგვისტოს შესდგა მესამე სექციის კრება, რომელმაც მსჯელობა იქონია უმცირესობის უფლების უზრუნველ ყოფის შესახებ მომავალ ერობაში. ნამესტნიკის ცირკულიარში პირდაპირ ნათქვამია, რომ უზრუნველ ყოფილ უნდა იქნას უმცირესობის უფლება, განსაკუთრებით რუსებისო. სექციის წევრთა უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ სასურველი არ არის ეროვნებათ დაყოფაო, თუმცა არც უმცირესობა ამტკიცებდა ამის წინააღმდეგს, მარა მაინც საჭიროთ მიაჩნდათ ეროვნებებათ გამოუყოფლათ უმცირესობის უფლების უზრუნველ ყოფა. დაბოლოს, კრებამ უმრავლესობის აზრი დაამტკიცა. 6 აგვისტოსაც შესდგა 1 სექციის კრება. კრებაზე ორი საკითხი გაირჩა: ერობის დამოკიდებულება წყლების საკითხთან და ქალაქების ცალკე ერთეულებათ გამოყოფა. როგორც ვიცით, კავკასიაში ამ ჟამათ არსებობს წყლების საგანგებო სამმართველო. სექციას უნდა გადაეწყვიტა, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა დაიჭიროს მომავალმა ერობამ ხსენებულ სამმართველოსთან. ერთნი ამტკიცებდენ, რომ წყლების საქმე სავსებით ერობას უნდა გადაეცეს და ხსენებულ სამმართველოს მხოლოდ კანტროლის უფლება დარჩესო, მეორენი-მომხრე იყვენ—სამმართველოსა და ერობის შორის ზოგიერთი ფუნქციების განაწილების, მესამენი—საჭიროთ სცნობდენ ჯერ-ჯერობით კითხვის ღიათ დატოვებას, სანამ ამის შესახებ საჭირო ცნობები არ შეიკრიბებოდა. დაბოლოს, კრებამ დაავალა ინჟ. აბელოვს შეიმუშავოს ხსენებული საკითხი და მოახსენოს სექციას. მეორე საკითხი შეეხებოდა ქალაქების ცალკე საერობო ერთეულებათ გამოყოფას. ამის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ა. ი. ხატისოვმა და ის აზრი გამოსთქვა, რომ ქალაქი ტფილისი უნდა გამოყოფილ იქნას ცალკე საერობო ერთეულათ ვინაიდან ქალაქს მეტათ დიდი ხარჯები დააწვება და იმდენ სარგებლობას ვერ ნახავს სოფლებიდან. მეორენი ამტკიცებდენ: თუმცა, მართალია, სოფლის სასარგებლოთ ქალაქი, როცა გამოუყოფელია, ბევრს იხდის, მარა რომ ვიანგარიშოთ ისიც, თუ რამდენს აძლევს სოფელი ქალაქს, მაშინ სურათი შეიცვლება—სოფელი მეტს იხდის ქალაქის სასარგებლოთ. დაბოლოს, კრებამ სურვილი გამოსთქვა, თუ თფილისი მოისურვებს გამოყოფილ იქნას მხოლოდ სამაზრო ერობისაგან ცალკე საერობო ერთეულათ, საგუბერნიო ერობაში კი ისევ დარჩება. თფილისის გუბერნიის დანარჩენი სამაზრო ქალაქების გამოყოფა, სამაზრო ერობისაგან, კრებამ საჭიროთ არ სცნო.

**პანაშვიდი** 6 აგვისტოს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ვლადიმერ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძის გარდაცვალების მე 40 დღეს გადახდილ იქნა წირვა-პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ განსვენებულის ნათესავ-ნაცნობ-მეგობრები და ამხანაგები.

**ნიხრი.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა მოაკლდეს ყველა ხარისხის პურს გირვანქაზე ნახევარი კაპეიკი. დაწესებულ იქნა: ძროხის ხორცზე—გირვანქა 10 კაპ., ცხვრისაზე—12 კაპ. და კამეჩისაზე—8 კაპ. ნიხრი დასამტკიცებლათ წარედგინა გუბერნატორს და ძალაში შევა დღიდან დამტკიცებისა.

**მთავრობის მამასახლისი** დაენიშნა დოესის საზოგადოებას (ქართლი). მამასახლისს თან ეახლება „სტრაჟნიკები“. მათი შესანახი ხარჯები საზოგადოებამ უნდა იკისროს.

**ქუთაისის დრ. გენ. გუბერნატორი** გენ. სლოვოჩინსკი საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა და შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.

**ფოთის ნავთ-სადგურიდან** საზღვარ-გარეთ გაუტანიათ ივლისის განმავლობაში 5,380, 800 ფუთი შავი ქვა და 62,250 ფუთი სიმინდი.

**ბავშვთა საავამყოფო.** დღეს, შუადღის 12 საათზე ავლაბარში საფუძველს ჩაუყრიან და აკურთხებენ ძმ. ზუბალაშვილების სახელობის ბავშვთა საავათმყოფოს. ქალაქის გამგეობის მიერ მიწვეული არიან დასასწრებლათ საზოგადო დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენლები, ექიმები, ტეხნიკები და სხვ.

**კახეთის რკინის გზა.** ამ ჟამათ კახეთის რკინის გზას იკვლევს ინჟენერი ვაჟეევსკი. მას შუამდგომლობა აღუძრავს სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს წინაშე, რათა ნება დაერთოს, თუ საჭირო დარჩება, გზის „პლანის“ გაყვანის დროს სახაზინო ტყე ზოგიერთ ალაგას გასჭრას.

**კავკასიის ნამესტნიკის** თანაშემწის მიცკევიჩის ალაგას, რომელიც „გ. კ.“-ს სიტყვით სამსახურს თავს ანებებს, ინიშნება სენატორი ე. ა. ვტაცი.

**სარწყავი არხები.** ქუთაისის გუბერნიის შორაპნის, ქუთაისის და სხ. მაზრების მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ სადაც ჯერ არს, რათა დაინიშნოს საგანგებო ინჟენერი-გიდრავლიკი, რომელიც მცხოვრებთ ხელმძღვანელობას გაუწევს მინდვრების მოსარწყავ არხების გაყვანაში. ინჟენერმა, როგორც მცხოვრებნი შუამდგომლობენ, ადგილობრივ უნდა იცხოვროს. (კ.).

**სანიტარული „არტელები“.** მერკუშინის სანიტარულმა მზრუნველმა ბ. ... თითქმ სასანიტარო-საექიმო ინსპექტორის წინაშე კითხვა აღძრა, რათა ქალაქში დაარსებულ იქნას მუშათა სანიტარული არტელები. არტელების მოვალეობა იქნება მზრუნველის ჩვენებით დასუფთაონ კერძო სახლების ეზოები, ქალაქის მოედნები, ქუჩები, ცარიელი ადგილები, მდინარის ნაპირები და სხ. არტელმა მაგიერი ქალაქის გამგეობისაგან უნდა მიიღოს, ხოლო იმ სახლის პატრონებს, რომელსაც დაასუფთავებენ, გამოერთმევა დასუფთავების ფასი. ხსენებულ კითხვისთვის, როგორც გადმოგვცეს, ყურადღება მიუქცევია სასანიტარო ინსპექტორს და ამ დღეებში მოხსენებას წარუდგენს ქალაქის გამგეობას.

**თავდასხმა.** როგორც „თფ. ფურც“-ს დეპეშით ატყობინებენ, 4 აგვისტოს, სადამოს 10 საათზე კავკასიის რკინის გზაზე სუგდიდის და ნაგუტსკის სადგურებს შუა თავს დასხმია საფოსტო მატარებელს 25 კაცისაგან შემდგარი ბოროტ-გამზრახველთა ჯგუფი. მატარებელი გაუჩერებიათ და აუტეხიათ სროლა, მარა ფოსტის გაძარცვა ვერ მოუხერხებიათ. გაუძარცვავთ „არტელშჩიკი“. წაუღიათ 30,000 მან. მეტი და მიმალულან.

**ჩხრეკის დროს** სხვა და სხვა უბნებში 5 აგვისტოს დააპატიმრეს 46 უპასპორტო.

**ბიქტორ ბოლქვაძის გარდაცვალების გამო,** პატკე, სოლომონ და იაკინთე, ბოლქვაძეთაგან რედაქციამ მიიღო სამგლოვიარო წერილი.

**სხვადასხვა ამბები:** 5 აგვისტოს დააპატიმრეს თფილისის მოქალაქე გიორგი ენუქიძე, რომელსაც ბრალდება 1907 წ. 27 მარტს „გოროდოვოის“ ს. პასენკოს მოკვლა. დაჭერის დროს მას თან აღმოაჩნდა პატრონები თავისი ჩასაწყობით. დაპატიმრებული 1 მომრიგებელ სასამართლოს გამომძიებელს გადაეცა.

— 5 აგვისტოს სუდების ქუჩაზე მცხოვრებ მეეზოვეს, დიმიტრი პეტროვს ბინიდან უცნობმა პირებმა 240 მ. მოპარეს. პოლიციამ ამ საქმეზე ეჭვით დააპატიმრა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი ნინა თოფაძე და გასილ ნოცაძე.

— 5 აგვისტოს შუშის მოქალაქეს, ხუნუნცს, რომელიც მიხეილის პროსპექტზე ცხოვრობს, მოპარეს 129 მ. 40 კ. ღირებული სხვადასხვა ნივთები. ამ საქმეზე ეჭვით დააპატიმრეს არსენ ფოცხრია.

## დღევანდელი ვითარება.

### II

სიმართლე მოითხოვს ვაღიაროთ, რომ 1863 წლის „რეფორმებმა“ მართლა გზა გაუკაფა რუსეთში ევროპიელ კაპიტალს და ევროპიულ ბურჟუაზიულ კულტურას და ამით მკიდრო საფუძველი ჩაუყარა შინაურ, ნაციონალური ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება-განვითარებას. რუსეთის მთავრობამ ჯერ კიდევ პეტრე დიდის დროიდან სცნო კაპიტალისტური მრეწველობის უაღრესობა ძველ პატრიარქალურ მეურნეობაზე. დაიპყრო პეტრე დიდმა ბალტიის ზღვის ნაპირები, გაიშენა აქ სატახტო ქალაქი—პეტერბურგი და გაიჩინა ზღვაზე სამხედრო ფლოტი. აქედან ის პირდაპირ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „რგავდა“ რუსეთში „კაპიტალიზმს“. ევროპის კაპიტალისტებმაც თავის ჯიბის გასასქელებლათ სიამოვნებით მიაშურეს რუსეთს! მთავრობა მათ დიდ დახმარებას უწევდა. აქ მხოლოთ „ყირიმის ომის“ დამარცხების შემდეგ დარწმუნდა მთავრობა, რომ არ კმაროდა მარტო ევროპისკენ „ფანჯრის გამოჭრა“, არამედ საჭირო და აუცილებელი იყო მთელი კარების გაღება და კაპიტალიზმისთვის სრული „ნების“ მიცემა. ალექსანდრე 2-ე ასეც მოიქცა, რახან ამას ისტორიული აუცილებლობა თხოულობდა: 1863 წ. მან გააუქმა „ბატონ-ყმობა“ და მით „ბაზარი“ და „მუშა ხელი“ მოუპოვა ევროპის მადა გახსნილ „კაპიტალს“. უმიწა-წყლოთ დარჩენილი გლეხკაცობა, რომ გადასახადები და სხვა ათასი „ბეგარა“ გადაეხადათ, რომელიც ამ დღიდან მათ ფულათ შეაწერეს, სოფლიდან ქალაქებს მიაწყდა; აქ მათ პირდაღებული უცდიდენ კაპიტალისტები, რომლებმაც ნიორის ფასათ ჩაიგდეს ისინი ხელში და დღეში 16—18 საათს ამუშავებდენ.

აი ამნაირათ ევროპის კაპიტალისტებმა დაისქელეს ჯიბეები და რუსეთს კი შერ-

ჩა გაძვალტყავებული პროლეტარიატი, რომელიც უმთავრესათ უმიწაწყლოთ დარჩენილ გლეხკაცობისაგან წარმოიშვა და რომლის უთვალავ „არმიას“ დღესაც დღითი დღე ასობით ემატებიან მსხვილი კაპიტალისტური წარმოებისაგან გაპროლეტარებული წვრილი ხელოსნები და ვაჭრები.—ემატება ინტელიგენციაც. მაგრამ, რახან, როგორც ყველგან, აქაც უცხო კაპიტალი მტაცებელ როლს თამაშობდა და მასთან ევროპის კაპიტალისტების საკუთარი სამრეწველო კოლონიათ მიაჩნდათ რუსეთი და ოდნავადაც არ იყვნენ რუსეთის ეროვნულ-კულტურულ აღორძინებაში დაინტერესებული, და აგრეთვე, რახან ნაციონალური ბურჟუაზია, რომელიც სხვა ქვეყნებში და სხვა პირობებში ეროვნულ აღორძინებას მეთაურობდა, აქ ეს—ესაა ფეხზე დგებოდა, რის გამოც სახელმწიფო მართვა-გამგეობაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა, აი ამიტომა ისტორიული აუცილებლობით, ეროვნულ-პოლიტიკური ბრძოლის მეთაურათ პროლეტარიატი უნდა გამოსულიყო და კიდევაც ასე მოხდა. *) მან პირველმა შეებრძოლა 1905 წელს ძველ რეჟიმს და გამოსტაცა მომავალი სახალხო წარმომადგენლობის სიმბოლო—„დუმა“.

ყველა მოძრაობას თან მისდევს რეაქცია! ჩვენ ვიცით, რომ ყოველი რევოლიუციონური მოძრაობა, თუ თავიდან არა, ბოლოს და ბოლოს მაინც ითრევს თავის სიღრმეში ყველა კლასებს და ჯგუფებს და მით მოძრაობაში მოჰყავს მთელი საზოგადოება. ახალი კლასების გამარჯვება და ძველების დამარცხება აქ აუცილებელია, მაგრამ რაც მეტი პოლიტიკური ცოდნა-გამოცდილება და მეტი ორგანიზაცია ექნებათ ახალ კლასებს, მით უფრო ბრძოლა ნაყოფიერი და ხან მოკლე იქნება, მით უფრო ნაკლები იქნება მსხვერპლი და, აი, სწორეთ ეს უნდა აინტერესებდეს ყველა იმათ, ვისაც ხალხისთვის გული შესტკივა! ბიუროკრატია ამ შემთხვევაში მუდამ თავის დაცვას ცდილობს. ამ მიზნით ის ხან ომს მიმართავს, ხან ერთ ერს მეორეს მიუსევს, ხან პირდაპირ ტყვია-წამალ-ზარბაზნით უმასპინძლდება ხალხს და თუ ვერც ერთმა ამ „საშვალებათაგანმა“ ვერ გასჭრა, მაშინ სიტყვიერი დაპირებებით—კონსტიტუციის მოცემით—ატყუილებს ხალხს. ასე მოიქცა ლუი მეთექვსმეტე საფრანგეთის რევოლიუციის დროს, 1789 წელს. ასევე იქცეოდა ოსმალეთის ხონთქარი—აბდულ ჰამიდი—ეს „სისხლიანი სულთანი“. ასე მოიქცა აგრეთვე ამ დღეებში ტახტიდან ჩამოგდებული სპარსეთის შახი-მაჰმედ-ალი!.. ასე მოხდა ჩვენშიაც. რუსეთმა ჯერ იაპონიას ომი აუტეხა, იქ დამარცხებულმა შინაურ პროვინციასაც მიმართა, მიუსია ურიებს—რუსები, სომხებს—თათრები, ტყვია-წამალიც ბევრი დაწვა ხალხთან ბრძოლაში და როცა ბოლოს და ბოლოს ვერას გახდა და 1905 წ. რუსეთის საერთო გაფიცვა კარზე მიადგა, მაშინ 17 ოქტ. მანიფესტი გამოვიდა და „კონსტიტუცია“ შემოღებული იქნა. ამ დაპირებებმა როგორც მოსალოდნელი იყო გათიშა ბურჟუაზიული და პროლეტარული დემოკრატიული კლასები და მით ძირი გამოუთხარა რუსეთის მოძრაობის ძლევა მოსილებას. აი, აქ მარხია რუსეთის მოძრაობის სისუსტე! აი, აქ, იმარხება დუმის უძლურებაც!.. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება თუ არა კითხვის ისე დაყენება, როგორც ეს ზევით იყო მოხსენებული?!. ეხლა ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რატომ არ სპობენ მთლათ დუმას. 1907 წლის 3 ივნისის „პერევოროტი“—ეს უკანასკნელი რევანში იყო მთავრობის მხრით. ამ დღეს მან აღადგინა ისეთი კონსტიტუცია, როგორსაც მას „შეერთებული თავად აზნაურობის“ კავშირი უკარნახებდა! ამის იქით ის არ წავა და ვერც წავა, ვინაიდან დღევანდელ დუმის წინააღმდეგ, თუ მის უფლებები არ იქნება გაფართოებული, არც ერთ ჰკავთა მყოფელ რეაქციონერს, გონება დაკარგულ „რუსთა კავშირს“ გარდა, რომელშიც მხოლოთ „პიანიცებს“ მოუყრია თავი, არაფერი არა აქვს. ჯერ კიდევ პირველ დუმის გარეკის შემდეგ თვით სტოლიპინმა უთხრა ერთ გავლენიან გაზეთის კორესპონდენტს, რომ სანამ არ შევქმნი ისეთ დუმას, რომელიც მე მომეწონება, თუ გინდ ოც სათათბიროს დავითხოვო... და კიდეც შექნა მესამე სათათბირო, რომლის „მოღვაწეობას“ თვით „ვერ იწუნებს“... დღევანდელ მესამე დუმას, გარდა ოქტომბ რისტებისა, პურიშკევიჩის პარტიაც კი იცავს. ამნაირათ, რეაქციას მიზანი მიღწეულია. მესამე დუმის „პროგრამმა“ —ეს იგივე რეაქციონურ მთავრობის პროგრამაა. მთავრობის ლოზუნგი: ჯერ დამშვიდება, და მერმე რეფორმები—ეს იგივე მესამე დუმის ლოზუნგია! „ორნი არიან ტოლნი არიან, ერთათ მიდიან მიიმღერიან!!. საზრუნავი, მოსაპოებელი დემოკრატიას აქვს, მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში.

**უმუშევრათ დარჩენილი.**

---

*) ამ ისტორიულმა ფაქტებმა ჩვენ, მარქსისტები არ უნდა მიგვიყვანოს ნაციონალური ბურჟუაზიის როლის უარყოფამდი რუსეთის მოძრაობაში, პირიქით, ნაციონალური რუსეთის ბურჟუაზიას თავისი პროგრესიული მნიშვნელობა აქვს ამ მოძრაობაში, და თუ „ბოლომდის“ არა ბევრ რამეში გაჰყვება პროლეტარიატს ბიუროკრატიულ რეჟიმის წინააღმდეგ. სიტყა „გაჰყვება“ არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ვითომ ბურჟუაზიამ იცნოს პროლეტარიატის მეთაურობა. არა, ეს ნიშნავს იმას, რომ ბურჟუაზია პროლეტარიატთან ერთათ შეებრძოლება ძველ რეჟიმს.

## პროვინციის ქრონიკა

**ფოთი.** 31 ივლისს, ღამის პირველ საათზე გაძარცვეს სასტუმრო „ორიენტალი“. ძარცვას ჰყვანდა ადმინისტრაცია. სასტუმროს პატრონი ხარიტონ მარგველაძე მისცეს პასუხის გებაში, მის სასტუმროში მეორეთ წიგნში ჩაუწერლობის გამო.

— ქუთაისის გუბერნატორი შეეკითხა ფოთის ქალაქის გამგეობას, თუ რადის დაიწყება ½ კაპ. ქ. ფოთის სასარგებლოთ გადადება. როგორც იცით ეს კითხვა გადაცემული აქვს ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ კომისიას, რომელიც შეიმუშავებს ტარიფს და ის შედგა ძალაში სამინისტროს მიერ სანქციის გაკეთების შემდეგ.

— 2 აგვისტოს თამაშის დროს წალაპარაკდნენ საპირდოთ ადამია და მაქრო გექილოვი. ადამია გექილოვს მივარდა ხანჯლით და დაჭრა მოუნდომა, მაგრამ იქვე გაჩნდნენ პოლიციელები და ადამია დააპატიმრეს.

— 2 აგვისტოს ღამით აქაურ ელექტრონის სადგურს სამჯერ ზედი ზედ დაეცა მეხი და მავთულები გააცვდა. რადგან მეხის ამცდენი (ГРОМООТВОДЪ) მუშაობდა, უბედური შემთხვევები ატელეფონი იქნა. არაფერი არ დაზიანებულა.

— როგორც ხმები დადის, ქალაქის აფთიაქს დღითი დღე აკლდება მუშტრობა და ამ მოლო ხანებში კარგი მოზდილი დეფიციტებიც გაუკეთებია. ამის მიზეზათ ასახელებენ აფთიაქის მაღაზიების კონკურენციას. როგორც ამტკიცებენ ზოგიერთი მაღაზიის პატრონები ექიმების რეცეპტსაც ამზადებენ. კუნძულზე მყოფ მაღაზიის პატრონს, ჩხეიძეს კვირაობითაც ღია აქვს მაღაზია, როგორც ამბობენ, ვითომ მცხოვრებლების თხოვნით, მაგრამ ეს „თხოვნა“ ერთი ორი პრაქტიკანიზმია, რომელსაც ხელს უწყობს ერთი ახლად ჩამოსული ექიმიც. ჩვენის აზრით არავითარ „პრივილეგიას“ ამ შემთხვევაში არ უნდა ქონდეს ადგილი და თუ სხვა მაღაზიები კვირა-უქმეებში დაკეტილია, ჩხეიძის აფთიაქის მაღაზიაც დაკეტილი უნდა იყოს, რათ დასჭირდათ „ზოგიერთ ექიმს“ („როგორც ამას ბევრი ამტკიცებენ აქ) და „ზოგიერთ მცხოვრებთ“ ჩხეიძისათვის „პრივილეგიების“ მოპოება, ძნელი გამოსაცნობი არაა, მით უფრო, რომ ჩვენ კუნთხეულ ფოთში ყველაფერი შესაძლებელი ხდება.

— როგორც ზოგიერთი მუშები გვარწმუნებენ, რუსიის სანავოსნო საზოგადოების მუშათა არტელში, ზოგიერთებს წილი აცხადებული, დაუკანონებიათ მეგიერობა. ოფიციალური წესრიგები ჯერ-ჯერობით ხელთ არა გვაქვს. მხოლოდ იმას თამამად გიტყვით, რომ „მაგიერობას“ ბევრები ეტრფიან ხსენებულ არტელში და თუ ეს ესეც დაკანონდა—მაშინ „რუსიის არტელი“ გახდება ადამის ჟამის წესების დამმყარებელი.

— ისევ გახშირდა დაჯარიმება-დაპატიმრება. ქუთაისის გუბერნატორის დადგენილებით ქ. ფოთის მცხოვრებს აბდულა მეპერას შვილს რევოლვერის ტარებისთვის გადაუწყვიტეს ორი კვირით დაპატიმრება. ქ. ფოთისვე მცხოვრები ერასტო დეკანოზიძე კუცია დაჯარიმებული იქნა 3 მანეთით საოჯახო წიგნის შეუძენლობისათვის. ალექსანდრე ხარბედია, ალექსანდრე იმედაშვილი, ნატალია წულაია, ვასილი პერედერა, თომა თურქია და ფარნა ჩიქოვაძე საოჯახო წიგნები მოსულეთა დაწესებულების ჩაუწერლობისთვის ქუთაისის გუბერნატორის დადგენილებით დაპატიმრებულ იქნებიან ერთი კვირით ან და თითო თუმანი ჯარიმა გადახდებათ.

— ქუთაისის გუბერნატორმა მელიტონ მათეს ძე ბობოხიძეს 10 მან. ჯარიმა შეუცვალა ერთი კვირით დაპატიმრებით.

— 31 ივლისს დილით ივანე კაუხჩევის სახლში შემძვრალან ქურდები და წაუღიათ ტანისამოსი და ფული, სულ 70 მან.

## კორესპონდენცია

### იმერეთი

**სოფ. ფარცხანაყანევი.** სკოლის დარბაზში 26 ივლისს გაიმართა წარმოდგენა. ითამაშეს „დატრიალდა ჯარა“ და „ადამ და ევა“, წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა. განსაკუთრებით კარგი იყო ქ-ნი ფხაკაძე, (ტიტინა, მარიკა); მან თავისი მოხდენილი თამაშით აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება; დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ ანსამბლს. კარგი იქნება—ფარცხანაყანევის ინტელიგენცია ეცდებოდეს და ხშირათ გამართავდეს წარმოდგენებს (მხოლოდ უფრო თანამედროვე პიესებს) და მით ხელს შეუწყობდეს ხალხის სულიერათ ამაღლებას. როგორც გავიგე ამ მხრით პირველი ნაბიჯი უკვე გადაუდგამთ: ქ-ნ მ. ფხაკაძისას, უკისრია ფარცხანაყანევისათვის წიგნთსაცავ სამკითხველოს ნებართვის აღება, და ამ დღეებში აპირებს თხოვნით მიმართავს, ვისაც ჯერ არს. მაშ ვუსურვოთ პატივცემულ ქ-ნს სისრულეში მოეყვანოს ეს ფრიად სასარგებლო საქმე.

**დესპოტი.**

## მუშათა შორის

**თფილისის საქონლის სადგური სარტელი.** ბუნებრივი იქნება, რომ მუშები თანდათან იგნებდენ თავის კლასიურ ინტერესებს, არჩევდენ მტერს და მოყვარეს, ითვალისწინებდნენ ყველა იმ კითხვებს, რომელსაც ცხოვრება უყენებს მათ და, ასე მუდმივი საქმიანობათ ესწრაფოდენ თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ხსენებულ არტელში კი, თითქო ყველაფერი წინააღმდეგ ხდება. აქ, არა თუ წინსვლა და მდგომარეობის გაუმჯობესება და მაზე ზრუნვა, არამედ უკვე არსებულის განადგურება ხდება. და ყველა ეს ხდება მუშებისავე ნებაყოფლობით ძალ-დაუტანებლათ. თვითეულ მათგანს ახსოვს, თუ რა აუტანელი პირობები არსებობდა ამ რამდენიმე წლის წინათ. მაშინ სამის ადგილას ერთს ამუშავებდნენ, სამუშაო დროკაცოდნეობით დიდი იყო და ხელფასი კი, ძალიან ცოტა. ხანგრძლივი ბრძოლით გაუმჯობესდა პირობები, რომელიც დღემდე არსებობდა. შტატი გაფართოვდა, სამუშაო დრო შემცირდა, ხელფასმა იმატა, „ოტპუსკები“ და ექიმობა ჯამაგირის შენახვით და სხვა. ყველა ეს შედეგი იყო იმ შეთანხმებული მოქმედებისა, რომელსაც დღეს ვეღარ ვხედავთ. ყველაფერი გაქრა, დავიწყებას მიეცა, შეთანხმების ადგილი შუღლმა და მტრობამ დაიჭირა, გაერთიანების ადგილს ნაციონალური სხვადასხვაობა იკავებს და ასე უფსკრულისაკენ მიექანებიან.

30 ივლისს ხსენებული არტელის კრება მოხდა. ამათი მოქმედების გაცნობა, განსაკუთრებით ორ კითხვის შესახებ, სწორ წარმოდგენას მოგვცემს ხსენებულ მუშებზე. ერთი კითხვა არის: დღიურების განცხადება და მეორე, „ოტპუსკების“ მისპობა, რომელიც ერთმა ჯგუფმა წამოაყენა. დღიურებიდან გამდის ი. კ. და იგი დახლოებით შემდეგს ამბობს:

„ჩვენ 2—3 წელიწადია, რომ აქ მარიგ კანდიდატებათ ვითვლებით, ამ ხნის განმავლობაში ბევრი შიმშილი გადაგვიტანეთ იმ იმედით, რომ ოდესმე ადგილს ვეღირსებოდით, დღეს რამოდენიმე თავისუფალი ადგილია, ჩვენ ვითხოულობთ, რომ თავისუფალ ადგილებზე დაგვიშვათ. იმდენ გაჭირვებას განიცდის ზოგი ჩვენგანი, რომ კანდიდატებათაც რომ არ ვიყოთ, ჩვენ იძულებული გივყავით თქვენთვის მოგვემართა, დახმარება გვთხოვა, რადგანაც მუშებს გარეთ ჩვენ არავისგან არაფერს არ მოველით“. კრებაზე თანდათან ხმაურობა მატულობს. და როდესაც ერთმა მუშამ ი. ს. თქვა, რომ უმუშევრების მოთხოვნილება კანონიერი არისო, ატეხა ყვირილი და უკმაყოფილება ი. ს. წინააღმდეგ ემზადება მეორე მუშა დ. კ. სიტყვის სათქმელათ. დამსწრენი თანდათან დედდებიან. ერთი ჯგუფი მივარდება იმ ადგას, სადაც თავმჯდომარე ზის და კრებას ამთავრებს. გაისმის ხმა: დავიშალოთ, წავიდეთ. ბევრი განცვიფრებაში მოდის ამ სურათს, მათ შორის ადგილობრივი ჟანდარმი (ჟანდარმი უოველთვის ესწრება კრებას), რომელმაც მათზე უფრო სამართლიანათ აღიარა დღიურების მოთხოვნა. თავმჯდომარე მეორე ადგილას ჯდება და იქიდან მოიწოდებს კრებას წესიერებისაკენ. კრება არ ცხრება, სადღესასწაულოთ ემზადება კიდევ ერთი მუშა ი. გ. და როცა გაიგონეს მისი შემდეგი წინადადება: „სირცხვილს ნუ ჭამთო“, მას მივარდნენ და დაბლა წევა დაუწყეს. ისმის ხმა: „დავიშალოთ“, „არ გვინდა“ მეტი უნდა შევამოკლოთ და სხვა. ცოტა სიწყნარეა, კანჭი ეყრება წინადადებას, რომ ერთი „ჯგუფის მეტი აღარ გაიღო შემოკლდეს“. უმეტესობა დებულობს.

შემდეგი კითხვა არის „ოტპუსკის“ მოსპობა. ისმის ხმა თავმჯდომარის დაუკითხავათ: „არ გვინდა ოტპუსკა“. მთისმა, ჩვენ მუშათა გვინდა და არა ტყუილა სარეჯი“. დაპარაკობენ ზოგიერთი მუშები მის სარგებლობაზე და მნიშვნელობაზე, რამაც უნდა ყოფილიყო ჩაიარა. არ გასჭრა მუშა ს. ბ—ძის სიტყვამ, რომ „ოტპუსკი“ ბრძოლით მოპოვებული არის და ჩვენი ნებით ნუ მოვსპობთ. მას დაპარაკს უშლიან. რამდენიმე მეტი სამუშაო, ითქმებოდა „ოტპუსკის“ არსებობის სასარგებლოთ, იმდენათ მეტათ ღელავდენ. ბოლოს კენჭის ყრით „ოტპუსკაც“ მოისპო.

ხსენებულ მუშებთან ერთათ დღეს მხიარულობენ მათი მტრებიც. ეს უკანასკნელნი დარწმუნებულნი არიან, რომ ჯერ კიდევ დიდი ხანს შეიძლება ასეთ მუშებს ტყავის ძრობა ისე, რომ ესენი ვერ გაიგებენ. ასეთი მუშების გადადგმული ნაბიჯები მხოლოდ მათ მუშების კუთილის მსურველს დააღონებს. ცუდი საქციელი უწინდელი წესიერებიდანაც ჩანს, რომელიც იყო გაზეთ გამოცხადებული. ახლა კი ხსენებულ მუშებს მოვაგონებ ერთ მუშის ნათქვამს, რომელიც მან ერთ კრებაზე უთხრა მათ: „თუ მაგ გზით სიარულს თავს არ დაანებებთ, სისტიკ დამარცხებამდის მიხვალთ“.

**რიხხვა.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ორი თვის წინეთ შემთაფვარა თავი ჩემ სახლს ჩემმა დეიდაშვილმა მარიამ გაშაკიძის ასულმა, რომელსაც მამამ და ძმამ (ფილიპე და ალექსი) მოუნდომეს ისეთ ვინმეზე გათხოვება, რომელიც მას არ სურდა და რაკი მით მოინდომეს ძალდატანებით ქალის დამორჩილება, ის მშობლებს გამოექცა და თავი ჩემ ოჯახში შეაფარა. ამ დროს მეც სახლში ვიყავი. მეორე დღეს გვეწვია ეწრის საზოგადოების მამასახლისი ერთი „სტრაჟნიკით“ და ქალის ძმა, მომთხოვეს ქალის გადაცემა, თუარა ძალით წავიყვანთო დამემუქრა მამასახლისი. მეტი გზა არ იყო: უნდა დავმორჩილებოდი და მეც თან გავყევი. სოფელის სამმართველოში რამდენიმე ქალი და კაცი იყო დაპატიმრებული, რომლებზედაც ქალის მშობლებს დაებრალებიათ ქალის გადაბირება და გატაცება. ყველა ეს, რასაც გვწამებდნენ, სიცრუე იყო. ქალის გამოკვლევის შემდეგ ყველა განთავისუფლეს, ძმამ და მამამ მოსთხოვეს ქალს დამორჩილება და მათ სურვილს და რაკი ქალმა ამ შემთხვევაში დამორჩილებაზე კატეგორიული უარი განაცხადა, მათ უპასუხეს: ჩვენ შენი შემნახველი არ გვრთო, რის შემდეგ მშობლებისაგან მოძულებული ქალი ისევ მე გამომყვა და ეხლაც ჩემ სახლშია. ამ რამდენიმე დღის წინათ სახლში არ ყოფნის დროს მოცვივნულიყვნენ რევოლვერებით რამდენიმე უმაწვილი და მოინდომებიათ ქალის გატაცება, მაგრამ რაკი პირველი იერიშით ვერაფერს გახდნენ, ისევ უკან გაბრუნებულან. ყველა ეს მაშინვე გადავეცი ს. დიდი-ჯიხაიშის საზ. მამასახლისისთვის. ეხლა, რადგან ისევ მოსალოდნელია, რომ ეს ჩვენი ქვეყნის რაინდები არ დასცხრებიან, თვითონ „პატივ-მოყვარეობის“ აღსადგენათ და კვლავ განიმეორებენ დაცემას, მივმართ პატივცემულ საზოგადოებას დამეხმარონ უმწეო ქალის დაფარვაში, რომელიც მსხვერპლი უნდა გახდეს ძველი ადათ-წესებისა. როგორც კაცი, ისე ქალიც თავისუფალი უნდა იყოს საქმროს არჩევაში და ვისაც ეს ასე ვერ წარმოუდგენია, ის, ცხადია, ვერ შეეთვისება იმ აზრს, რომ ქალიც ადამიანია. იმედია, ეს ჩემი მოწოდება არ დარჩება „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

**ბესარიონ ვაშაკიძე.**

გთხოვთ სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ ეს წერილი. **ბ. ვ.**

---

გაზეთ „განათლებას“ მე-7 №-ში მოთავსებულია თამარა ჭეიშვილის წერილი. ჩემი საპასუხო ვრცელი წერილი, ამავე გაზეთის რედაქციაში თავის დროზე გავგზავნე, მაგრამ რადგანაც გაზეთი დაიხურა და არ გამოვა ათ ამ თვემდინ და მაშასადამე, ჩემი წერილიც მანამდინ დაიგვიანებს, ამისათვის ეხლავე გაცხადებ, რომ ჩემის მხრით მედიატორებათ ვიწვევ მასწავლებლებს: კიტარა ანთელაძეს და ილია ქუთათელაძეს. მინდა მასწავლებელთა პროფესიონალური ხასიათ რთულო ეხლავე შესდგეს. იმედია არც ჭეიშვილი გააჭიანურებს საქმეს.

**ნ. გარდაფაძე.**

---

(პასუხათ ექ. ა. მინასოვს).

„დროების“ მე 164 №-ში მოთავსებულია წერილი ბ-ნ ექ. ა. მინასოვისა, რითაც ცდილობს ის თავი იმართლოს იმ უპატიონო საქციელისაგან, რომელიც ჩაიდინა მან ამას წინათ აქ, სურამის მახლობლათ, სოფ. გვერდის-უბანში. სამწუხაროთ მისი წერილი არ შეიცავს არავითარ ფაქტიურ მასალას და ისე, მშრალი სიტყვებით სურს ბ-ნ ექიმს გაიტანოს ფონს. მე, ჩემს წერილში, (იხ. „ჩვენი აზრი“ № 51) ზოგადათ აღვნიშნე ის უნუგეშო მდგომარეობა, რასაც განიცდიან სოფლები უექიმო-უწამლოთ და ის უმოწყალო ექსპლოატაცია ექიმის მხრივ, რომელსაც ეწევიან ისინი გამუდმებით, განსაკუთრებით სოფლად. ეს ისეთი ჩვეულებრივი ჰეშმარიტებაა, რომ მტკიცება არ სჭირია და ბ-ნ ა. მინასოვის საქციელიც ერთი მრავალ ფაქტთაგანია. მიუხედავათ ამისა, ის ჩვენ მაინც აღვნიშნეთ. ასე, რომ ჩვენი უმთავრესი ბრალდება მდგომარეობდა შემდეგში: ბ-ნ ა. მინასოვმა ავათმყოფ ზ. კვერნაძის ძმას არ დასჯერდა ნ მანეთი და მოსთხოვა მეტი, რის არც მორალური და არც იურიდიული უფლება არ ქონდა. ეს ცოცხალი ფაქტია. ამის მოწამენი იყვნენ როგორც თვით ავათმყოფ გლეხ კვერნაძის ძმა, რომელმაც ფული მიაწოდა მას, აგრეთვე სხვა ორი მისი მეზობელი გლეხი და საკვირველია, რა სინდისით აცხადებს ბ-ნი მინასოვი გაზეთის ფურცლებზე, რომ ის ხმა ამოუღებლივ წამოვიდა. მარა, ჩვენ სრულებით არ გვაკვირვებს ბ-ნ ა. მინასოვის საქციელი განსაკუთრებით დღეს, როცა ყველა ჯურის ვაჟბატონები მაჯლაჯუნასავით დასწოლია თავს რეაქციისაგან გაღატაკებულ და გაპარტახებულ სოფლებს და თავიანთი მადის დასაკმაყოფილებლათ არ ზოგავენ არაფერს. რას იზამ? დრონი მეფობენ.., დაგვრჩენია მხოლოდ მწარეთ ამოვიკვნესოთ: „O, tempora! O, mores“!

**ვ. ლ-ლი.**

p. s. რაც შეეხება ჩემს ნიღაბის ახდას, ეგ არ ვიცი სწორეთ, რათ ესაჭიროება ბ-ნ ექიმს. ჩემი ვინაობა რა საჭიროა ბ-ნო, თქვენთვის? თუ იმაში ხართ დაინტერესებული, რომ თქვენ წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაზე თავი იმართლოთ, გამოიწვიეთ წერილის ავტორი სამ. სასამართლოში, ვინც უნდა იყოს ის, და გააბათილეთ ბრალდება. თქვენთვის ამ შემთხვევაში მისი ვინაობა არაფერ შუაში არ არის, თუ რაიმე სხვა მიზნით არ გესაჭიროებათ...

**ვ. ლ—ლი.**

---

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. დადიშკელიანი.**

---

## მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა,

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

## განცხადებანი


**კბილის ექიმი**

ს. ნ. მაცროსოვიჩ-სანოვიჩი.

დაპლომბვის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—8)

**სიკვდილი ბაღლინჯოებს.**

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთად ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—17